


როსტრი



ლ ე კ ვ ი ლ ო მ ი ს ა ს ნ ო რ ი ა !

РОДИНА-МАТЬ ЗОВЕТ!

ქვეყნის კიდევ XII საუკუნეში ასე დაიწყო შოთა რუსთაველმა ქალი. მაშინ, როცა თვით სიტყვა „უმანსიპაიის“ ზღაპრებაც კი არ იყო. ამ საკითხს, ასე ვთქვათ, ჩადრი ჰქონდა ჩამოფარებული და მისი გადაწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ არც სიტყვა „ბიუროკრატია“ არსებობდა, ისტორიამ მანც დანაშაულებრივად გააჭაინურა.

ადამიანის მოდემის ეს უმშვენიერესი ნაწილი, რომელიც შეიქმნა და ალამაზებს ჩვენს ცხოვრებას, არაფერში ტოლს არ უდებს კაცს: არც შრომაში, არც სრულიად მამაკაცურ საქმეში — ბრძოლაში, რაც კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო თვალნათლივ დადასტურდა კაცთა მოდემის სულიერ-მატერიალური ძალების ყველაზე უფრო მკაცრი გამოცდის უამს — დიდ სამამულო ომში, სადაც, ქულზე კაცთან ერთად, მარტო საქართველოდან 16000 ქალი გავიდა..

კაცი ვერ შეძლებდა იმას, რაც საქართველოს ისტორიაში ქალმა შეძლო. კიდევ იმითომ დაუდგა ქართველის დედას ქართველმა კაცმა ძველი დედაქალაქში — ცალ ხელში ფილითა და ცალ ხელში მახვილით.. სისხლის წვიმების დროს — 1942 წლის 1 აგვისტოს — გაზეთმა „კომუნისტმა“ კიდევ ერთხელ შეასხვა მტერსა და მოყვარეს, რომ „...ვინც ჩვენს წინააღმდეგ მახვილს აღმართავს, მახვილითვე განიგმირება!.. ასეთი მტერმოყვრობის სიმბოლოდ დგას თბილისში, ნარიყალას ციხესთან, აზვარასხული ვერცხლისფერი ძეგლი ქართველის დეისა, რომლის ბავეთაგან ჩაგვძახის ქართველი მემკვიდრის ანდერძი: „არა არს წესი ქართველთა, რათა ვისილოთ მტერი ჩვენზე მომავალი, ზურგი შევაქციოთ და მოინახოს შეგურიდეთი!“

არაგვო, უფარაულე ომში წასულ ვაჟკაცებს! — უბარებდა ქართველის დედა არაგვს და წყალს ატანდა წყალწაღებულებს!.. თუ ვინმე გამოქვეული ურცხვად მოადგეს შენს კიდეს, ლამი აჭამე შერცხვენილს, რომ სასლბო ვეღარ მოვიდეს! — სასლბა და გულის კარებს უკეტავდა სამშობლოს უღირს შვილს ღვიძლი მშობელი!..

და იღვანე კლდეავით ფიცის ერთგული შვილები! „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი!“ — წერდა არა მარტო კაცთა, ქალთა მხედრულ ბიოგრაფიასაც ლადო ასათიანი.

ძველად, თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები, — მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები, — და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები, — ისე მტკიცე იყვნენ, თურმე, ვით



ВОЕННАЯ ПРИСЯГА
 Я, ... (text of the oath) ...
 ... (text of the oath) ...
 ... (text of the oath) ...

მეტეხის კედელი, გმირი თამარ ვაშლიანელი და მათი წყნეთელი მათი სხალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანა, საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი შერანის. ...სპარსეთში თუ დაღესტანში, კრწანისთან თუ შამქორთან, — საქართველოს ერთი მუჭა ცხელი მიწა თან ჰქონდათ. ...ისე მტკიცე იყვნენ, თურმე, ვით მტეხის კედელი, გმირი თინა წაჭყვიელი და მათი წყნეთელი. ...მამულისთვის დაიღუპნენ ვაჟკაცობის მსახველნი, საქართველო იყო მათი უწმინდესი სახელი!..
 თამარის მეჭურჭლეთუხუცესის მიერ გაცემული ქართველ ქალთა უძველესი საბრძოლო და სამსახურებრივი დახასიათება, როგორც ისტორიისათვის ცნობილია, პირველ რიგში, გაიგა **თამარ მეფე** და **როსტომიანის ასულ დინადინი**, რადგან „სხვა ძე არ ესვა მეფესა“... „თამარს ვაქებდეთ!“ — ბრძანებს სულმნათი შოთა, და ეს ქებათაქება ასევე დაიმსახურეს საქართველოს ასულ-

თა შემდგომმა თაობებმა.
 „მეისტორივე, წიგნი დასურე და ახალ გმირებს მიპაყარ უფრი!“ — დიდი სამამულო ომის პირველსავე წელს კატეგორიულად მოითხოვდა მემკვიდრისაგან ბოქმური სიტყვის ოქრომჭედელი, სარფხელი **იოსებ ბრიშაშვილი**, რადგან დიდ წინაპართა სულის საზეოდ და სამზეოდ გაჩნდნენ ახალი სააკაბები, ახალი სერსულბიები, გურამიშვილები; თამარები, თინათინები, რომელთაგან ჩვენ ქალთა ამ საერთაშორისო დღეს მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ:
თამარ გოთია — ღვეან გოთუასა და საბჭოთა არმიის ჯარისკაცთა ღვიძლი და, რომელსაც დიდმა სამამულო ომმა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მოუსწრო. იგი ლეგენდარული მე-18 არმიის რიგებში იბრძოდა, ახლა კი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ქალი ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ფილტვების ქირურგიის განყოფილებას განაგებს, რათა ადამიანმა თავის-

უფლად და მშვიდობით ისუნთქოს!..

თამარ ბაზაძე მოხალისედ წაეიდა ომში, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ასეთი ომი და სიტყვა „ხალისი“ ვერაფრით ვერ გვეუბიან ერთმანეთს: აღმოდებულ ყირიმში ძმობა შეჭრიცა ფრონტელ ძმებს და იქვე შეამოწმა ფრონტმა ეს ფიცბროლის ველზე მძიმედ დაიჭრა პოლკის უფროსი, იმ წუთში თამარს ყველაფერი დაავიწყდა — ისიც, რომ ქალი იყო, ტყვიების წვიმავე, არტილერიის გრიგალიც. თავზეხელაღებული გაიჭრა დაჭრილისაგან, რომელსაც მტრის მზვერავები გველის სოხვეთა უახლოვდებოდნენ. უფერად მედიცინის დას მიწას მივაჭვეული დაჭრილი კვესანარევი ბრძანება მოესმა — „ფრთხილად, თამარ!“ ქალმა ავტომატი შემართა და ორი ფაშისტი დაატყვევა. ბევრი დაუტყვევებია თამარს თავისი ქალობით, მაგრამ ეს ორი ჯალათი მისი მხედრული ვაჟკაცური შემართების ტყვედ იქცნენ, რის საბუთადაც ქართველ ქალს ამაყ მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი უკიაფებს!.. მამამისმა, **იოსებ ბაზაძემ**, ყოველთვის იცოდა თავისი ქალიშვილის გზა და კვალი და როცა ყირიმდგან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის ამბავი მოუვიდა, მოხუცე სახლში გული აღარ დაუდგა, რკინის ჯოხი იიღო, რკინის ქალმანი ჩაიგვა და არა ჯარისკაცის, არამედ ჯარისქალის მამა თამარის ფრონტულ გზასა და კვალს გაუყვა. საუბედროოდ, დიდ სამამულო ომს ბევრი არ ახსოვს ასეთი მდენიერება — იმოჯა მამამ შვილი!.. გამარჯვებული დაბრუნდა თამარი საქართველოში, დაამთავრა სუბტროპიკული ინსტიტუტი და ახლა მასხარაძის რაიონის სოფელ მელექედურში უტევს შრომის ფრონტზე!

თამარ ბაგრაქიძე ლენინგრადის სამედიცინო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტი იყო, როცა თეთრფინელბთან მოუწია დასმისთვის ძმობის შავი დღით გამოცდა.. სამამულო ომში კი ციმბირში ჩამოყალიბებული 309-ე დივიზიის სამედიცინო პატარონის ქირურგი იყო. მისი სახელი მიეღო ფრონტს გააცნო საფრონტო გაზეთმა „ვო სლავუ როდინო“. მრავალთან დეა, მათ შორის, საბჭოთა კავშირის გმირ აკაკი ტურელაძის გმირობასთანაა წილნაყარი თამარის გმირობა, მან ორჯერ იხსნა იგი სიკვდილისაგან — ერთხელ პირდაპირ ბრძოლის ველზე გაუკურა ობერაცია, უფრედ კი თამარს ბატალიონის მეორესმა სისხლში მოსვრილი ერთი პატარა წერილი გადასცა და უთხრა, ვიღაც ქართველი ოფიცერი ითხოვს, გამრეკლიძემ მიეკითხო! თამარმა (გაგრძელება მე-2 გვ.)

აქაც აკაკი ტერეშაძის ხელი იცნო. დიარ, ეს სწორედ ის ხელი იყო, რომელმაც თამარის მზრუნველი ხელით მალე ღონე მოიკრიბა და 8 კაცი 100 გერმანელი დაატყვევა!.. სწორედ ამიტომ შეარქვეს თანამებრძოლებმა ქართველ მოწყალეების დას „შეგდრის გამცოცხლებელი თამარქალი“.

ომის შემდეგ ჯარისკაცების დამ დედამ თამარ გამრელებში თბილისის № 1 სამშობლო სახლში დაიწყო მუშაობა და ახლა უკვე ქართველის დედებს სამშობლოსათვის ახალი გმირების დაბადებაში უწევდა ბებოზას.

თამარ ჩიკვაშვილი — ქუთაისელი ებრაელი ქალი. ტყვეთა ბანაკში ქართველმა მებრძოლებმა ჩიკვაშვილი გვართი ვატიარეს რეგისტრაციაში, რომ რასობრივი ფანატიზმის შხამით მოწამლული პიტლერელების შუასაუკუნეობრივი ინკვიზიციიდან გადაერჩინათ. მასზე მაინც მიიტანეს ეჭვი. კაცი ვერ აიტანდა იმ ტანჯვა-წამებას, რაც კომუნისტმა ქალმა აიტანა და თავისი გაიტანა, როგორც წინააღმდეგობის ჯგუფის მამაცმა მებრძოლმა.

თამარ ჯიოჯა — სახელოვანი ოსი ქალი — 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში მიიღეს მედიცინის დად და ღვიძლ დადაც. იგი მშობლოურ კავკასიას იცავდა. ფრონტზე მას სასწრაფო დახმარებისათვის ეძახდნენ და ამ მხრივ მისთვის არც ახლა დამთავრებულა ომი სიკვდილთან, ახლაც სასწრაფო დახმარების ცნინვალის სადგურში მუშაობს.

... ეს — თამარები, თამარქალები! ახლა — თინათინებიც: **იოსებშია, ალადაშვილი, ივანეშვილი, ნანეიშვილი, ნოდია, სირაქიძე, ჯანალიძე**!.. ვინ იცის, რამდენი თამარი და თინათინია!

თინა იოსებშია — სოფლის თვალი, მერე თბილისის მულ-კამეროლის ფაბრიკის მრავალდაზგოსანი მქსოველი, კავკასიის გირი დამცველი, მეომარი ქალმერთი, კეთილი ვალკირია, რომლის მკლავზე კავკასიონის თეთრ სუდარაში დალია სული მისმა ღვიძლმა ძმამ. დიდი და — ღვიძლი და მილიონობით ფრონტელი ძმისა, შურისმაძიებელი წითელი თორტიზიდან. მან აღასრულა რუსთველის სიბრძნე — ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი არჩია, მეგობრები გადაარჩინა, უკანასკნელი ხელყუმბარა ესროლა მტრის ალყას და წყალს მისცა თავისი ლამაზი სიცოცხლე, რომლისგანაც

წყალმა ყველაფერი წაიღო, გარდა მისი სახელისა, საბრძოლო დიდების ორი ორდენისა და ჩვენს ქალაქებში მისი სახელობის ქუჩებისა, სადაც მშვიდად დააბიჯებს თინა იოსებშიის 25 გაზაფხულის ვალში მყოფი ჩვენი სიცოცხლე.

შავი ზღვის ჭიშკართან — სევასტოპოლში დაეცა ქართველი მეზღვაური, მედიცინის უფროსი ლეიტენანტი, ჯუგაანელი ტურფა ქალი **თინა ალადაშვილი**. ბერეზანის ციხის კატაკომბებში ფრონტულ ძიობა შეჰფიცა მას საბჭოთა არმიის ბევრმა ჯარისკაცმა და მათ შორის — საბჭოთა კავშირის გმირმა **ნოე ალაშვილმა**. ჩვენს წინ იდგა ლამაზი ქართველი მეზღვაური ქალი, რომლის დიდრონი, შავი თვალები სულს გვიბრუნებდა! — იგონებს მეტყვიამფრქვევე **ივანე ხელაძე**.

თინა და პლატონიდა ივანეშვილები — ფრონტულ ძიობაზე ლეიძლი დები იყვნენ, ერთი დედამიშვილები. „სხვა ძე არ ესვა“ არც **კლიმენტი ივანეშვილს**, მართოდენ — ორი ასული და ორივე სამშობლოს იცავდა. არც ერთის დაბადებისას არ გაუსვრია თოფი მამას, მაგრამ რა შეედრება იმ ძეობას, რაც მისმა ასულებმა მის მშობლებსა და უფრო დიდ მშობელს — სამშობლოს გაუწიეს!..

თინა ნანეიშვილი — 46-ე არმიის მეკავშირე. როდესაც სამშობლომ ქუღზე კაცი იხმო, **ნანეიშვილები** ოჯახიდან არა მარტო ოთხი კაცი, ერთი ქალიც გავიდა ბრძოლის ველზე: თინა ნანეიშვილი, უფროსი ძმა, პოლკოვნიკი **გიორგი**, შუათანა — მაიორი **მისხილი**, უმცროსი — პოდოლკოვნიკი **ანტონი** და სიძე — გენერალ-მაიორი **მიხაილ ზაზაშვილი**. გმირი თინა წაეკისლეს მეშვიდრემ და სესნიამ — **თინა ნანეიშვილმა** ბელგრადის, ბუდაპეშტის, ვენის განთავისუფლებისათვის 18 მადლობა მიიღო უმაღლესი მთავარსარდლისაგან და მილიონობით მადლობა — ფაშისმის უღლისაგან განთავისუფლებული ევროპის მილიონობით ადამიანისაგან. იგი დღესაც დარაჯად უდგას მშვიდობას, როგორც ომის ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო საბჭოს ქალთა სექციის თავმჯდომარე.

თინა სირაქიძე! ცუსვხათელი გლენი **ბრიგოლ სირაქიძე**, რადგან „სხვა ძე“ არც მას ესვა, თავის ქალიშვილთან ერთად წავიდა ფრონტზე. იმ უმოწყალო დროს საკუთარ სახლში გასაგზავნი წერილების დროს ვერ პოულობდნენ ჯარისკაცები, მაგ-

რამ მათი მოწყალეების დის ოჯახს ტყვეულის რაიონში ხშირად მოსდიოდა სამკუთხა ბარათები. აგრაფინა ცირეკიძეს, როცა რუსული წერილი მიიღო, პიტლერელებმა ტყვე გული გადაუტრიალდა: „ვაი, ჩემი დღეს, რუსულად არც ქმარი მომწერდა წერილს და არც ქალიშვილი და წერილით სოფლის სკოლაში გაიქცა რუსულის მასწავლებელ **3. შირაქიძის** — წამიკითხე, თუ კაცი ხარ, რა მჭირს, უბედური ცოლი ვარ თუ უბედური დედაო!.. წამიკითხე მასწავლებელმა და სახეზე ვარდი მოეფინა.“

ბელნიური დედა ხარ, ჩემო აგრაფინა, თინას მორჩენილი დაჭრილი ვილოცავს კალთასო!

თინა ჯანალიძე ზუსტად 1921 წლის 25 თებერვალს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ მარანში და მტერს, რომელიც დაემუქრა მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს, კავკასიონიდან ბერლინამდე მარტო წყველა-კრულვით კი არა, ცეცხლითა და მახვილით სდია და მისი მხედრული დიდების საბუთად, ამაყი ქალიშვილის მეკრძნე, ბედის ვარსკვლავები ბიუთი ციმციმებენ წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის II ხარისხის ორდენები, მედლები — „საბრძოლო“ დამსახურებისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“, „ბერლინის აღებისათვის“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დაბადების წელს დაიბადა იმაც სოფელ მარანში **ქატიკანე ასათიანიც**. დედამ, უმამოდ, ერის მამის — დიდი ილიას ანდერძისამებრ მამულიშვილურად გაზარდა ეს ობოლი, სულითა და ხორცილთა ლამაზი გოგო: „ქა, ამ დღისთვის გავიზარდე, მამულო შვილი, სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი!“

და ასე სახელოდ გაგრძელდა საქართველოში ქეთევანების ისტორიაც. **ქატიკანე ასათიანი** ფოთის თეატრში მუშაობდა. ახლაც ახსოვთ მისი სანე „ნინოშვილის გურიაში“, მაგრამ ცნობრება მას უფრო დიდ როლს უშვადებდა და, აი, იგი ამორძალი იყო თეთრ ცხენზე ამხედრებული, 1941 წელს პოსპიტალს ყირიმიისაკენ მიუძღოდა. უწინ დნუარი აღმა წავა, ვიდრე ჩვენ აქედან წავალთო! — იმუქრებოდნენ საგულდაგულოდ ჩასანგრებული და გამაგრებული პიტლერელები, მაგრამ დნუარი ისევე ლაღად მიედინება თავის კალაპოტში, მტერს კი

(გაგრძელება მე-3 გვ.)

ნახ. ირ. შავპულნიძის



— პატ. მასწ., თუ ჩემს მშობლებთან ჩემზე საყვედურის სათქმელად მიდიხართ, აგერ ჩემი საკუთარი მანქანით წაგიყვანთ!

ქალების ბელნიერება

არხად — ნისლი, არხად — ქარი, დღე დამდგარა სანუკარო: რეაქტორებს ავტორთათვის გაულღით ფართოდ კარი!.. ყველგან, სადაც ფეხი შევდგი, საჩუქარი — უეცარი!.. დამიმძობდა წამწამები სიხარულის უღვევ ცვარით!.. სუფრას სადაც შევესწარი, დგას თამადად ყველგან ქალი გვერათ? — არც ერთ ჩვენს მამაკაცს არ უჭირავს სხვისკენ თვალი!.. ო, ამას რას მოვესწარი: არ ბუზღუნებს სახლში ქმარი, არც წყენია, ახალ ლექსს რომ მოვაწერე ჩემი გვარი! დღეს არც ეზოს მაგვევინებს, არც მავალებს სახლის მოვლას, არც იძახის: „სასადი სჯობს იუმორისტ ცოლის ყოლას!“ ეს რა დილა გამითენდა, რა ნანატრი გარიჟრაჟი: თვითონ საცივს ამზადებს და ძმრის საყიდლად გარბის ვაჭი! რვა მარტია! რვა მარტია! ხარობს გული! ხარობს სული! ყველაფერი ზღაპრულია, ყველაფერი ჯადოსნური! ირევიან ერთმანეთში ენძელები, მზე და რთვილი!.. საოცრება! — ერთუთოს ჰკონის რძალი, მული, დედამთილი!.. ყველგან — ქალი, ყველგან — ქალი! ირგვლივ ყველით შრიალია, მამამთილებს, ჯოხის ნაცვლად, ხელთ უჭირავთ ია-ია!.. ოთხმოცჯერ რომ უნატრია (ჰო, თქვენ ამას სხვაფრად ნუ თვლით!), — და სხვაგვარ დღეს და სხვაგვარ მზეს და სხვაგვარ ბუხს ინატრებდა, განა, გული?! და ვართ ასეთ აურაცხელ ოცნებაში განაბული!.. ვიღლებოდი ტვირთის თრევით (თუმცა როდი სჯერათ ჩვენებს!), დღეს სანაგვე მანქანაც კი ზედ ჩემს კართან შეაჩერეს!

(გაგრძელება)

აქედან გულა-ნაბადი აუკრეს, სწორედ დენ-პრის ბრძოლამ შვა ათობით ქართველი საბჭოთა კავშირის გმირი. თანამებამულეთა შორის იბრძოდა ქეთევან ასათიანის.

1943 წლის 25 ოქტომბერს მსახიობ ქალს — ქეთევან ასათიანს დეპარტის გადალახვა დაავალეს და გმირის როლი ანდეს, ოღონდ ამჯერად არა სცენაზე და არა სათამაშოდ, არამედ ნამდვილ ბრძოლის ველზე შესასრულებლად!.. ეს იყო ყველაზე სისხლიანი სპექტაკლი, რომელშიც ქართველმა ქალმა ბრწყინვალედ განასახიერა თავისი უკანასკნელი როლი, როლი სამშობლოსათვის თავდადებული შვილისა, რომელმაც მის საკურთხეველს შესწირა ყველაზე ღამაში — სიცოცხლე.

ქეთევან რუსაძე, გმირი ზოია რუსაძის მოგვარე და ქეთევანის სენიანა, სამ ძმასთან ერთად წავიდა ფრონტზე, ყუმბარამ ცოცხლად დაბრუნა კიევთან, მაგრამ ისევ მკვდრებით აღსდგა და ბევრი სხვაც აღადგინა მკვდრებით!..

1944 წლის მარტი! სხვა მარტი! არა — ზეიშის, არამედ — ბრძოლის! მთელი ჰოსპიტალი ფეხზე დადგა — ფრონტის სარდალი, არმიის გენერალი ნიკოლოზ პატუ-ტინი და მისი მძოლი ცოცხალ-მკვდარი მოიყვანეს. მან მომვლელად ქართველი მოწყალეების და აირჩია. აუცილებელი იყო ფეხის მოკვეთა, მაგრამ სარდალმა ბრძანა, სადაც შე ვიქნები, ჩემი ფეხიც იქ უნდა აყოს! დღე და ღამე ებრძოდა სიკვდილს პატარა ქართველი ქალი, მაგრამ ვერ მოერია. 14 აპრილს სარდალმა ქეთევანს უთხრა, ერთი ყულაში თქვენებური ღვინო ზომ არ ვექნებაო!

— ნიკოლოზ თვედორეს ძეგ, ახლა ღამეა, დღე ღამეზე ბრძენია, სვალ გაუჩვენებს გავანე!

— სვალ შე აღარ ვიქნები! — უთხრა სარდალმა და მისი ხსოვნის ნათლად მეორე დღეს მოსკოვში იგრიადეს სამგლოვიარო ქვეშეხებმა და ცაზე ფერად-ფერადი ნაქერწყლები დატოვეს.

ქეთევანი, წითელი ვარსკვლავის ორდენით დაბრუნდა ქუთაისში და ახლა კომუნისტური შრომის დამკვერელი ქალი ბავშვთა სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მუშაობს, რომ ჩვენს მომავალ თაობას კბილიც კი არ წამოტკივდეს!

სახელს ადამიანი ქმნის და არა — პირი-

ქით! გაჩნდნენ ახალი ლეგენდარული სახე-ლები: ზოია კოსმოლოვიანსკაია, ზოია რუსაძე — გმირი იატაკვეთელი, რომელმაც გესტაპოს № 25 საკინდან დედას ლექსად მისწერა: გულა გრძობს, გემახსოვრებო, ვერ დაივიწყებ ასულს, მაგრამ ვთხოვ: ცრემლის გარეშე მოიგონებდე წარსულს!

დარიკო ვარ, გულის ქალი! — სიმღერით მთიარა ამ სახელმა მთელი საქართველო. ამ ომში გაჩნდნენ ახალი დარიკოებიც. ჯერ კიდევ თეთრფინლებთან ბრძოლაში მიიღო ნათლობა ექიმმა დარიკო ცინცაძემ, რომელმაც კარელიის ველზე და მტრის ზურგზე თავის საბრძოლო კვალი დატოვა. წინ უფრო მკაცრი გამოცდა ელოდა — ლენინგრადის ბლოკად! იგი საკუთარი შვილის აკვანივით გააფორებით იცავდა რევოლუციის აჯანს. მოხდა ასეთი ამბავი: როცა დარიკო პირდაპირ ბრძოლის ველზე აკეთებდა გადაუდებელ ოპერაციას, ამ დროს სვასტიკიანი სვავის შავმა აჩრდილმა დაბზარა მიწა. ფაშისტმა მფრინავმა სულზე მოუსწრო სიკვდილს, რომელიც ქართველი მამაცი ქალის შეუპოვრობით უკან იხევდა. თვითმფრინავი პიკირებით წამოვიდა და ცეცხლის წერტილი დაუსვა სიკვდილ-სიციველის ჭიდილს — წუთისოფელს გამოასალმა საოპერაციო ფიგურანგს მიჯაჭვული ჯარისკაცი. ბევრი სიკვდილი უნახავს ფრონტულ ექიმ ქალს, თვითონაც ბევრჯერ ჩაუხუდავს სიკვდილისათვის თავლებში, მაგრამ ამ სიკვდილმა წონასწორობა დააკარგინა!.. მან რევოლვერი იძრო და განრისხებულ ცან დაუშინა, სიკვდილის მიესველ სვავს აყარა ცეცხლი, ეს კი შუქმენიღბის წესების დარღვევა იყო და გმირმა ქალმა სასჯელიც კი დაიმსახურა. მეორე სასჯელი დარიკომ ყველდღიური დონორობისათვის მიიღო, რადგან ფრონტისათვის ასე საჭირო სპეციალისტებს ეს კატეგორიულად ეკრძალებოდათ! ამ ამბავს მწერალ ნიკოლოზ ტინსონის ყურამდე მიულწევია, იგი ქართველი ქალის გასაცნობად ჩამოსულა და მათ შორის ასეთი დიალოგი გამართულა:

— მართალია, რომ თქვენ დონორობისათვის დაგხაჯავს? ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ხართ ასეთი სპეციალისტები და კიდევ სისხლის ვალემა?

— ქართველს სისხლს ძარღვეში რა გამოუღვავს? — კაცს კაცური პასუხი გასცა დარიკო ცინცაძემ და ასე დაიბადა ფრონტულ ვაზეთში ნიკოლოზ ტინსონ-

ვის ნარკვევი „ქართული სისხლი რა-სის კარღვეთში“.

სტალინგრადის ეპოპეის წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი, 51-ე ნიდსანა-ტის ქირურგი კლარა სოჭოლავა ასეთ საოცარ ფაქტს იგონებს: უგომა მდგომარეობაში მოყვანილი დაჭრილისათვის სისხლი გადაუსხამს. კოლბას თან ახლდა დონორის წერილი მისი ვინაობითა და დაჭრილის ლოცვა-კურთხევით. როცა ოფიცერი გონს მოსულა, ჯერ არსმენილი ხმა სმენიათ. მაშინვე პალატაში შეცვნილან. დაჭრილი ოფიცერ მარტინოვს უყვირია — ექიმო, ნახეთ, ღვიძლი და ვაშოვო და ხელში წარწერიანი კოლბა შეუჩვენებია. ეს იყო ღვიძლი დის სისხლი, რომელმაც ამ უგზო-უკვლობაში ღვიძლი ძმის სისხლი მოძებნა!..

ვაზეთმა „კოვუნისტა“ დარიკო ცინცაძეს ჯერ კიდევ 1942 წლის 8 მარტს მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღე. ამავე დღეს მიესალმა გავითი ფრონტულ კლარა სოჭოლავასაც, რომელმაც თავისი მხედრული სიმამაცით ვაქაციური ბრძოლითა და ბოლოს, ფრონტული დიასახლისობით განაგვიფრა თვით ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი, რომელიც 51-ე არმიას ეწვია სტალინგრადის ეპოპეის დღეებში.

წმინდა ნინოსაც ჰყავდა თავისი სახელის სასახლოდ გამგრძელებელი: ნინო მანალაძე თავის ორ ძმასთან ერთად იბრძოდა ფრონტზე. ერთი სიკვდილი გაიარა — ქერჩი! 1945 წლის 8 მარტს იგი უნგრეთში, ბალატონის ტბასთან შეხვდა, რომელიც მაშინ სისხლის ტბას უფრო ჰგავდა, ვიდრე მსოფლიოში სახელგანთქმულ კურორტს, სადაც ქუთაისელი გოგო დასასვენებლად, კი არ მოვიდა, არამედ როგორც გამათავისუფლებელი საბჭოთა არმიის მეომარი სწორედ 8 მარტს ფაშისტური ტყვეობიდან იხსნეს ქალაქი დიონგი და ეს იყო ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც კი ნინოს თავის სიცოცხლეში ქალთა საერთაშორისო დღეს მიუღია.

ჩრდილო კავკასიიდან ბერლინამდე, აღმოდებულ პირქუშ ცაზე, სვასტიკიანი სვავების ცეცხლისა და კვამლის კულებით წერა თავისი საბრძოლო ბიოგრაფია წითელი დროშის, სუვოროვის ორდენების კავალერმა, ტამანის სახელობის ქალთა 46-ე გვარდიუ-

(ლასსარული მე-4 გვ.)

რვა მარტს

ნათი რაა, მენავთემაც დღეს მასმინა ხმა საყვირის, ვაზიც დროზე მომიტანეს (თუმც რად არის გასაკვირი?!), ყასაბს დახლზე, ხორციის ნაცვლად, დღეს არ უდევს დიდი ძვალი, ჩამოსული მემწვანილევ ქალს სთავაზობს მუქთად მწვანილს...
ჰაუ, რარიკო ღამაშია დღეს ყოველი მაღაზია: ვაძლევ ნოქერებს ორ შაურს და მიბრუნებენ... აბაზიანს! და თუ დღემდე თბილისური წინდის შოვნა იყო რთული, ახლა ნახეთ: კაბა, წინდა — ყველაფერი იმპორტული!
მეთევზემაც მტკიცე ფასში დღეს მომყიდა ორაგული, ალულუნდა ავი კაცი, როგორც ტკბილი მოლაღური. იმ თეთრეულს, გობებს, ცხრილებს, აბა, დღეს ვინ გვარეცხვინებს? ვიტრინებში ველარ ვითვლით ნაირ-ნაირ სარეცხ ფხვნილებს... აირჩიე: ქალო, რაც გსურს, მართლაც თვალის ერთი მოკვრით, თაროებზე ჩამოიხსნარან „რაბსო“, „მილვა“, „ბარფი“, „გოკი“...
იქით ვარცლი იყიდება, აქეთ უდგათ კასრის მთები და მანქანებს მხოლოდ ქალებს გვიჩერებენ ტაქსისტები!.. ნახეთ, ლექსის დაბეჭდვასაც არსად აღარ გვამადლიან და ქალებიც დღეს ალავერდს მზესთან ლექსით გადადიან! ნეტავ, ნეტავ, სულ ვისმენდეთ ამ დიდებებს, ალერსს, ქებას, თუმცა, ქალო, ამ დიად დღეს მაშინ ფასი არ ექნება! მე კი ვნატობ: ეს ზღვა ლხინი პრასოსდეს დაგვკვლავდეს და რვა მარტი წელიწადში რვაჯერ მაინც განმეორდეს!

ეთარ სამხარაძე



ნახ. ლ. თოთიბაძის

მ ე ლ ი ა — მ ე ლ ი ა ს: კიდევ კარგი, ზოპარკის რკინის გალიაში რომ ვართ, თორემ ამათ საუელოებად ვიქცეოდით!

(დასასრული)

ლი დივიზიის ღამის ბომბდამშენმა ავია-პოლკმა, რომლის ციური დების მწყობრში 477 საბრძოლო გაფრენა მოახდინა და მტრის თავზე რისხვად ჩამოყარა 64354 კილოგრამი სიკვდილის ტვირთი აფხაზი ხალხის სახელოვანმა ციურმა ასულმა **მარი სპიძამ**. 1945 წლის 8 მარტს პოლკს ესტუმრა საბჭოთა კავშირის მარშალი **კონსტანტინე როკოსსვიკი**. — თქვენს პოლკზე რაც მესმოდა, ლეგენდები შეგონა! — თქვა მარშალმა (ამ ავიაშენაერთის 23 მფრინავ და შტურმან ქალს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა), — გვიყვან, რომ პოლკში მამაკაცებს არ იღებთ!.. შეჯერა, მათ დაუპირებლადვე მიადევნებ ბერლინამდე! — და ასეც მოხდა.

სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით მკერდდამშვენებული აფხაზი ქალი დღესაც ჩვეული ენერგიით აშენებს ახალ ცხოვრებას.

ორი **პური** — **ანანიძე** და **ინაიშვილი** და მათი ძმა მჭირი აჭარიდან, სხვა თანამემამულეებთან ერთად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად. დნებრის ტალღებმა წაიღეს **პური ანანიძის** ლამაზი სული, ხოლო მისი სახელი გადარჩა **ფრიდონ ხალვაშის**, **ნანა გვარამიშვილის** ლექსებში, თანასოფელთა გულებში. ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეებმა სამშობლოსათვის დაღუპული ქალიშვილი თავიანთი პირველი ბრიგადის საპატიო წევრად აირჩიეს და ბრიგადას მისი სახელი უწოდეს.

რადისტები **პური ინაიშვილი** ბრძოლის ველზე მიიღეს კომუნისტურ პარტიაში. წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერა ომის შემდეგ ქობულეთის მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა, ისტორიის გაკვეთილებს აძლევდა ჩვენს სვალინდელ დღეს — ახალგაზრდობას და აქაც, როგორც შრომის ფრონტის გმირი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოეს.

მრავალეროვანი, მრავალენოვანი და ერთგული ერთი დიდი საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა წითელი ვარსკვლავის ორდენისა და მრავალი საბრძოლო მედლის კავალერი ავჯალელი **ალექსანდრა არაშინიძე**, რომელმაც გამარჯვების 9 მაისი პრალაში იზეიმა და ფრონტიდან მთავარსარდლის 14 მადლობა ჩამოიტანა. ახლა იგი ყვარლის მესამე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეა და გმირ მამათა კვალზე ზრდის შვილებს.

საქართველოს მიწიდან აფრინდა მამაცი შევარდნის, ლეთისშობლის სახელის მატარებელ **მარი კულკინას** გამანადგურებელი. ქმრისა და ძმის დაღუპვის შემდეგ ის სამი აღამიანის მაგივრად იბრძოდა 267-ე გამანადგურებელი პოლკის მესამე ესკადრიაში. კომუნისტმა უმცროსმა ლეიტენანტმა ქალმა ბევრ პიტლერულ სვავს აწყვევინა ბედი, მაგრამ თვითონაც უმცურუნა ბედმა მოღდავეთის ცაზე. 28 წელიწადი იყო ცოცხლად დამარხული **მარი კულკინა** თავის თვითმფრინავთან ერთად ტამაშლიკის ველზე. 1972 წლის 24 აგვისტოს, მარიამობისთვის, დუბოსარელებმა გათხარეს გაუთხრელი საფლავი და მანქანასთან ერთად დაღუპული გმირი ქალის ჯიბეში ნახეს თბილისში გაცემული პარტიული ბილეთი და წითელი ვარსკვლავის ორდენი, რომელიც დღეს სხვა ბრწყინვალეებით ბრწყინავდა. იმ ველს კი ახლა, საცა ეს ტრაგედია დატრიალდა, „მარიას ველს“ ეძახიან!..

1418 დღის იმ ისტორიულ წუთამდე, სანამ ლეგენდადქმეული ორი კაცი — **მიხეილ ეპროკიმი** და **ველიტონ ქანთარია** რაიხსტაგზე ძღვევის დროშას აღმართავდნენ, დიდი სამამულო ომის ისტორიას ახსოვს ბევრი სხვა გმირი და **ქანთარია**, მათ შორის ქუთაისელი **ლილი ქანთარია**. მისი მეუღლე **მიხეილი** და ოთხი მახლი, რომელთაგან, ერთის გარდა, ყველა გმირულად დაიღუპა. ცოცხლად დამარხა ბომბმა **ლილი**, მაგრამ მის თრ გოგონას მამით ობლობაც აქმარა ბედმა და მათი მებრძოლი დედა მეორედ მოვიდა ამ ქვეყანაზე. ამ დიდი ოჯახიდან პოლკოვნიკ **ივანე ქანთარიას** უსაკო ვაჟი, V კლასელი ქუთაისელი ბიჭი **მანსტანე ქანთარიამ** ფრონტზე გაიპარა და, გორგასლიანთა ნაშიერმა, როგორც მშვერავმა, ბერლინამდე სდია ფაშისტებს!

ბრესტის ციტადელში, რომელიც 1941 წლის 22 ივნისის პირველ სისხლიან განთიადზე შეეგება დიდ სამამულო ომს, ცხოვრობდა **ლუბა ჩუპინიძე**, მისი ქალიშვილი **თამარი** და მეუღლე (შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირი **ლუბან ჩუპინიძე**). მთელი ოჯახი შეეწირა ჩვენს დიდ ოჯახს — სამშობლოს!

სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა **ვალენტინა** და **ბრიგოლე მარკვილა-ქაპიშის** მთელი ოჯახიც: დედა, მამა, სამი ვაჟი. ოჯახმა სახლის კარი გამოიხურა და ზედ წააწერა: „შინ არავინაა, წავედით ფრონტზე!“ ბენდიერი ვარსკვლავიც ახლდა ამ ოჯახს ფრონტზე — ხუთივე ცოცხალი დაბრუნდა, მაგრამ მოხდა კიდევ ერთი

უნჯეულო რამ, რომლის შედეგები დიდ სამამულო ომის ისტორიასაც კი ცოტა ახსოვს: როცა მტრის ავიაციამ მიწასთან გაახსორა ჩრდილოკავკასიის ერთი პატარა სოფელი — **სოლონიკა**, **ვალენტინა** — მამის ტრაკში მიიღო, მან დროებით სძენა და თვალის ჩინი დაკარგა. საჭირო იყო სანგრძობივი მკურნალობა და იგი, სხვა დაჭრილებთან ერთად, დაუყოვნებლივ თბილისში გამოაფრინეს. და აი, აქ მოხდა სწორედ ის სასწაული. იცით, ვინ აღმოჩნდა მფრინავი, რომელმაც დაჭრილები საქართველოში ჩამოიყვანა? **ვალენტინა მარკვილას** შვილი **შოთა მარკვილაძე**, რომელმაც მხოლოდ დანიშნულების სადგურში გაიგო, რომ დედა ჩამოიყვანა. და იქნებ სწორედ ეს არის ის უიშვიათესი შემთხვევა, რომელიც საბაბს ვეძებთ სიტყვა შეგუბრუნოთ საქვეყნოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ შვილი დედის ამაგს ვერასდროს ვერ გადაიხდისო. ბენდიერი ოჯახი ახლა მოსკოვში ცხოვრობს. შვილებსა და შვილიშვილებში ტრიალებს მეომრის ცოლი, მეომრების დედა და თავად მეომარი ქალი, ფსიზლად აღვეცხებს თვალს დედამიწის ტრიალს, რომ მის საშვილეთსა და სამშობლოს არაფერი გაუჭირდეს!

სამო საფლავებში განისვენებენ ქალებიც, ფრონტელი მშობის ფრონტელი დები — გუსდაუთელი **ალექსანდრა ნოზაძე**, რუის-პირელი **ნადია პაპუნაშვილი**, მამათული **მანია ჩხაიძე**, ადმირალ **სიმონ რაიშვილის** და, სურბული **ქსენია რაიშვილი**, ქუთაისელი **ქეთევან შენგელია**... და, ვინ იცის, ეს სამი ნაყოფმარევი ორმოსავით ჩამაგებული წერტილი რამდენ ბორცვებადაა გაბნეული კავკასიიდან ბერლინამდე გულამობრუნებულ, სიკვდილით ნახნავ მიწაზე!..

კაცი ჯაშანი რითა სჯობს დიაცსა... — რუსთაველმა ბრძანა.

კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაჟებო?... — კაცთა შორისაც კი ეძებდა კარგ ყმას ვაჟაფშაველა და დიდმა სამამულო ომმა გასცა პასუხი:

აი, ვინ არის კაი ყმა! — ვინა და, ეს ქალები, რომლებმაც ვაჟაყვებზე არანაკლები ტვირთი ზიდეს!

აფერუმ მათ ქალობას! აფერუმ მათ ვაყ კაცობას!

ცოცხლებს — სიცოცხლე! მკვდრებს — უკვდავება!

გიგო ოშიაძე
პლაკატი ირ. თოიძისა
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



გაბაასება ფახშირისა და თავსსუბუქისა

თავსსუბუქი:

ჩემი საქმე მე მაცალეთ. თქვენსას არ შევინებო!
ერთი შვილი გავაჩინე, დამიკონეს ფეხები!..
ბერძენი მუღი გავახარე, ბებოს სული ვალხინე,
ოჯახს ოქროს წვიმასავით მადლი გამომავაფინე!..
სამ თვეს ძუძუ მოვაწოვე, წამოვიტე პაწია.
ახლა კმარა, აღარ მნებავს გარჯა-გაწამაია!
პავსვს მიფუგდებ მოსავლელად ბებილებს და მამიდებს,
გავიჭრები!.. გრიალ-ღვინის ტოლს ვერაინ დამიდებს!
გავლადებით ცოლი, ქმარი, ტრფობა არ გაგვიწყდება,
ერთმანეთის სიყვარულში თავიც დაგვაფიწყდება!
საქმეს მაინც არ მოვწყდები, სამსახურში ჩავდები,
ჯამაგირით, ნაცნობებში ჩემს თავს გამოვადგები!
წინ-წინ წავალ, შემქმნენ ყოჩაღსა და საქმიანს,
თორემ, ისე, ქმრის შემუშრედ სახლში გდება რას ჰქვია?!
ქმარიც კარგი დამიდება — სპეციოლისტ-მავანი,
მშარდი, წუწკი, წინ გამტკომი, მხლადი, ამპარტავანი,
ვაქაცობით — უფარგისი, მარიფათით — ქებული,
სახლ-კარ-ცოლ-შვილ-„ფიატისთვის“ დამწვარ-გადაგებული.
ცოტა ბრიყვი, შიგადაშიგ — გოგონების მღვევარი,
ცოტა — ღვინით, ცოტა — სპორტით თავის შემქმნევი.
ის ვერ შეტყვის: „არ გვაკლია ჩანი, ბედის წყალობა,
თუ შვილები არ მიმრავდე, რაა შენი ქალიშობა,
ვერ დამპყივლებს: „დედაკო, რა მომიცია, რა გთხოვე?!
ხელოვნურად გამაბერწე, ცალუღელა დამტოვე!
წლები მუქთად მაფლანგვინე, ამომიგდე სახელი!
ჩემს სისხლს, ჩემს ხორცს ცივ წყალს ატანს შენი
აბორტმანერი!

თავზე კუბრი გადამანხი, თვალთ შაყარე ნაცარი,
მაგრამ — ფრთხილად, გონზე მოდი, თორემ ქალი ხხვაც არი!“
ამისთანებს ის არ მკიდრებს, ჩემს ცოდვაში არ დგება,
ცოლ-შვილი თუ უღდეგრძელეს, გაბადრული აღგება,
შეიფერებს, თავი მოსწონს, გაეხსნება გუნება!
სწორიც არის: სიამაყე განა გაემტყუნება?!
ხუთის მშობლებს რით არ ვჭობვართ, თუმც არ ვბრწყინავთ

ძეობით,
მოსვენებით? დროსტარებით? ღვინით? კეთილდღეობით?
შვილს ფრთხილად ვზრდით, მოვარიდებთ გაჭირვების
მარწუხებს.

წვრილშვილობით, ჰაანწყვეტით ერთერთს არ შევაწუხებთ!
ხედავთ? ვცდილობთ: სულ ვტრიალებთ, მყურდო ბუღებს
ვიკეთებთ,

სულადობით როდი ვზომავთ ამ ცხოვრების სიკეთეს!
სულადობა, წველადობა — ეს რომ ძროხის ხვედრია?!
მე სულ სხვა ვარ!.. განა ეგრე ძნელი მისახვედრია?!
გულს სხვა უნდა, სხვა სწყურია!.. სულს სხვა უნდა ფერება:
ხელოვნება, გემოვნება, სიბრძნე-მეცნიერება!
სამსახურში — ჭემპრის ქსოვა, ლბე-ყორეს მიღება,
ცხრაჯერ ღღეში — ტელეფონზე ცხრაჯერ ჩამოვიდება.
ქინეი, ჩვარი, ჭორაობა, ტანზე „ფირის“ არგახდა.
ზეიმების, დღეობების... კანში ძროხით გადახდა,
აფეხისთვის, დგამისათვის ქალაქ-ქალაქ ჭენება,
ნელი-ნელი, თანდათან წყდომა-გადაშენება!..

ღღეში ერთხელ — სიგარეტი, სულის მოთქმის უფლება,
თორემ ისე ჩვილის ხელში, ვინ თქვა თავისუფლება?!
შემომასხით: „ერთი შვილი აჩენ, ვინ რისთვის გაჭირე?!
ქალის ნიკი, დედის მადლი ნებით გაათახსირე!“
პაშ, მეც გეტყვით, მომისმინეთ, ტყუილი არ მამბრალთ:
ილადობით, იფხმძიმეთ, ღმერთმა ასწულ გამრავლო!
ერის ფუძე გაამაგრეთ, ძარღვი სისხლი ჩაუღვით,
თქვენს თავს, თქვენს ქმრებს უკვდავების თუნდ ძეგლებიც
დაუღვით!

მე მომეშვით! დამეხსენით! შინ ნუ მომივარდებით!
უტიკარ თავს ნუ მატკიებთ მთელი ჭვეყნის დარღებით!
ძალად ქუას ნუ მასწავლით, ჩემს გემოზე მატკრეთ,
ეს ცხოვრება, წამებრ მოკლე, ტკბილად გადამატარეთ!
ჭვეყნის დარდი ბუმ იღარდოს, რაკი თავი დიდი აქვს!
რის მამული?! რა სამშობლო?! — სულ ფეხებზე მკილი!


ზოგჯერ გამკრავს (რა დემალო?) სინანულის ბრწყალები:
განა ავ ხედს, ავ შემთხვევას საღმე დაემალები?
დელიგრთაც ცოდვა არის — მარტოსული, ყარიბი,
ფგოიზში გამოწვრილი, სიყვარულით ღარიბი!..
ამიტომაც ვფიქრობ, ვწუხვარ, ვწუწუნებ და ვშავებდობ!
თუ ძალიან ხელს შემეწყობთ, ეგებ ერთიც გავბედო! —
ერთიც ვშობო! კიდევ წელი შევალთ დედობას,
და მერე კი — პერი, პერი!.. ვაშა უღარდლობას!
მოვხვეტ საწოვს, სახარულს, ჩვრებად დაფხრეწე არტახებს!
ქოინას და ხაგორებელს დაწვავ, გავაპარტახებო!..
სამუღამოდ დავიფიქვებ „ნანას“, ძუძუს წოვებას!
ორი მყავდეს — ამის მეტი რაღა მომეხოვება?!
როგორც ვინღით ჩუტყვავილას, წითელას და ქუნთრუშას,
შვილსნობას მეც მოვიხდი, გადვიტყვი კუნტრუშად!

ფახშირი:

ვაი, ეგრე უბადრუკიც ზოგ-ზოგების მჯობი ხარ!
არ გეგონოს, შე საბრალოვ, თითქოს მართლაც მჯობიხარ.
მაგ უნდელი ლოქოს გულით, ხელიკის კუა-გონებით,
ლოკოინას ფანტაზიით, ბატის თავმწონებით?!
გამოფხიზლდი! წუთისოფელს საღი თვლით გახედე,
იმ შენს ბრიყვ ქმარს „ფიატიდან“ წამით გადმოხედე!
დაინახეთ: ზღვა და ხმელი, ქვეყნის უხვი მშვენება,
მზის ჩახვლა და მზის ამოსვლა, მნათობი ამოსვენება,
მთებზე — თოვლი მოკაშაზე, ზედ — გუმბათი ნათელი,
ტყე-ველი და ბალ-ვენახი, ფერთა კორიანტელი,
მძინარ ტბებზე — მთვარის ფენა, ზევში — ზვავის ხეთქება,
ტაიფუნი, ქარაშხალი, ვულკანი ამოხეთქება!..
გაიაზრეთ: დიდებული ეს სამყარო ვისია? —
ვინც ბოლოა თავის გვარის, თუ ვინც დასაწყისია?
ვინც ნაშვირთ უკვდავებით ერკინება დროებას,
შთამომავლის მკერდით არღვევს უამთა უსაღვროებას!
უკვდავებას მეც დავეძებ, ამაყად და მხნედა ვარ,
ქვეყნად ოთხი წელი მიდევს, ოთხი შვილის დედა ვარ!
ოთხის ჯავრით გული მიკრთის, ოთხის ცეცხლი მედება,
ოთხის ზრდა და გაზარება გულით მეიმედება!
არ ვწუწუნებ, არა ვნანობ ოთხთა ძუძუს წოვებას!
რა ვქნათ?! — ქვეყნად სიხარული ტანჯვით მოიპოვება!
მერე რა, რომ ოჯახს უჭირს?! თუ სიმრავლეს ეცდება, —
შვილსაც თმწის, გაჭირვების ტვირთი უორკეცდება!
ხიფათი და გაჭირვება ტრაგედია როდია!
ვინც ამ ქვეყნად არ მოსულა, უფრო შეხაცოდია!
არ ვიზარებ შვილთა ჩენას, „გამიზარდოს!“ — ვლადებდ,
რაც ხუნებად დამაქისრა, იმ ვალს არ ვულალატებ!
ჩემი ტრფობის, ჩემი გრძნობის ნაყოფს როდი ვიშორებ,
ჩემი სისხლ და ხორცილათვის მზის შუქს არ დავიშორებ!
გაჭირვებას არ ვუღრკები, თუმცა ლუქმის თვლა მიწევს,
რა ვქნათ?! — ზოგჯერ ტორტ-მწვადლობას ხმელი პური
გამიწევს!

პალტოს თვითონ შევიკრავ, ხუთ წელიწადს მატარებს,
უფროსების ფეხსაცმელებს ვაცვეთინებ პატარებს!
მიჭირს, მაგრამ არ გეგონოს, ჩემზე რამით კარგი ხარ,
იმის გამო, რომ ამ ქვეყნის ღამის მუქით ბარგი ხარ,
რომ მაჯობებ ტანად, თვალად, მისრა-მობრით, იერთი,
კლემითა და სინარნარით, პირის სიმშვენიერით, —
ქალობით შენ ვერ დამჩაგრავ, არ ავიღა გვერდები!
ჩემს ქმარს შენზე თხუთმეტი წლით გვიან დავუბერდები!
არ იცი, რომ შვილსნობით ორგანიზმი ახლდება,
პირს სხვა სხივი დატამამებს, როცა სული მდლდება,
სიყვარულის, სიამაყის შუქი გიკრთის თვლებში,
ბრწყინავს დილის ვარსკვლავით ქვეყნის ღამაჲ ქალებში,
დროთა ქროლა ვერ გაშინებს, ვერას გერჩის ავბედი,
ნათლის სვეტად თავზე გადგას ზეცის შარავანდელი!..

ნოდარ ცხირაძე



საჭიროა ინფორმაცია ლიჩიჯა

რვა მარტი გაფშურასთან

მივათრევ მაწონს, არაუანს, კანფეტს...
პირველ სიჩქარით „გავრბი“ აღმართში...
არ მინდა, ღმერთო, არა რვა მარტი,
გადამახტუნე უცებ ცხრა მარტში...
ვაცოცხლებ სიმწრით მოზედილ ცოშში:
ზონაპარტს, იზას, შტირლიცს და კარმენს...
ცოლს ეღიმიება — ნამცხვრის მაგივრად,
პირდაღებული შვილები მკამენს...
ვაცხობ ტკბილეულს და თვალწინ მიდგას
ატირებული მწვადი და ხაში...
ტორტი, ნამცხვარი ვინც კი მიირთვა,
ვერ მოიკვდა ვერც ერთმა სახლში...
დღეს რომ სიღვრი გვეტუშრა უცებ,
გასინჯოს ტორტი, შემაქოს განგებ,
გავუძღვებ: მაგრამ მას რა მოუვა
ამისთვის ნაღდად პასუხს ვერ ვაგებ...
ჩემს გაჭურაში დიდი ომი აქვთ
ნამცხვრებს: „ნიკანდროს“, „ციყვსა“ და „ნეის“...
აღზე გაშავდა „ნაპოლეონი“
და დაემსგავსა „კახიუს კლეის“...
— სირცხვილი მამას — სწავლულ კულინარს —
მესროლა გოგომ ნამცხვარის ცხენის...
მე ვიქნებოდი, ქალებო, მკვდარი,
ერთ წელს რომ დღე რომ იყოს თქვენი!



ჯემალ კვარაცხელიძე

მოდა დამგოვებს უცოლოდ!

ქარგია მოდა თანამედროვე,
თუ გარეგნობას ლაშათხა მატებს, —
არა ისეთი, რაღაც უხამსი, —
ქალს რომ ქალობის სინაჯეს ართმევს!..

ხელოვნურ ყვავილს ემსგავსებთან,
სახეს უთმობენ მხოლოდ ხალებავს...
რომ მიუთითოს, შენიშვნა მისცეს,
ვერც დედა, ვერცა მამა გაბედავს!..

ზოგჯერ ვფიქრებ: — შევირთავ იმ ქალს,
ჩაცმულობით რომ ჩამოგავს ალქაქს!..
მაგრამ უშაღვე შემბაყრობს შიში,
მეზობლის ბავშვებს დამიფრთხობს ალბათ!..

უფერულია ჩემი ცხოვრება,
მე კი ამაში არ მიძღვის ბრალი!
შენ გაგიხდებით, მოდავ, მონებად:
მე ცოლი მომეც, დედაჩემს — რძალი!

არ გეყოლებათ ყავისგან ბავშვი!..

მანანა, მაკა, ეკა, ნინიკო...
ყავის ნაღვეში ეძებენ საქმროს!..
ყავის ნაღვეში შავად ქილიობს
და დაქალების „იმედებს აქრობს“!

ჯობოვთ, სინამდვილეს ჩახედოთ თვალში,
ის დაგანახვებთ საქმროს და აკვანს! —
არ გეყოლებათ ყავისგან ბავშვი,
მანანა, ეკა, ნინიკო, მაკა!..

ლილი აგვიანიძე

ავტობუსში

წარბეპარებილი ქალი შინაბერა
ღობილს ეუბნება ყველას გასაგონად:
— რა ვქნა, ვერ დავსტამბე, ნაწერი მაქვს ბევრი,
ჩემს „ბისმენი სტოლზე“ მიდევს გორა-გორად!..
იქვე დიაცი ზის ჭრელაჭრულა კაბით,
თავსაფარი ხურავს წითლად დანაფერი,
ზის და იღიმება, სულაც არას ამბობს,
შვიდი შვილი ჰყავს და... ვითომც არაფერი!..

როგორ მოვიხსნათ?!

ვართ აუწერელი სიმდიდრის პატრონი,
განძი ენობრივი ბევრს არ აქვს ჩვენოდენა!
შენს საუბარში კი, ლამაზო ქალბატონო,
მხოლოდ ორასამდე სიტყვა მეორდება.
ასი შეხება ფულსა და ოქროს,
ასიც — კოსმეტიკას და შოდას!..
შოდა, როგორ მოგისმენდი, როგორ?! —
შენთან რა საერთო მქონდა?!

ნოდარ შამანაძე

დედაკაცი

პაროღია

სამოსი იყო — დედაკაცი ფარგლებს გავიდა!..
სასმისი იყო — და ჭიქიდან ყანწუზე ავიდა!..
თანასწორობა, თუ გიყვარდე, მეტი რა გინდა?!

სამაგიეროდ — დღეს თამარი, სონა თუ მართა
ნაწი ხელებით ჩაის საკრეფ მანქანას მართავს,
დგას ჩაის ბუჩქთან, დგას დაზგასთან, კომბაინს მართავს,
აგროვებს თავთავს, უფლის ოჯახს, ქსოვს, კერავს, ართავს!..
ბავშვები ბაღში, ბაგაში და სკოლაში დაჰყავს
და ტაიგაში, უსიერში, რკინიგზა გაჰყავს!..

თუ დედაკაცი კაცთან ერთად კოსმოსს გავიდა —
თანასწორობა, თუ გიყვარდე, მეტი რა გინდა?!

ნიკოლოზ იოსელიანი

სარვაშარტო ბავშვრება

(ზოგნიერთთა მისამართით)

ისმის კისკისი, სიმღერა, მაგ სარვაშარტო შეკრების!
კაცებს წავგართვით შარვლები, მოკლე თმები და ჩექმები,
ქაშრები, კიდეც — ბლუზები (ლამის ნაღველმა დაგვანაცროს!)
ეს მთელი გარდერობია, რა დავგიტოვებთ სანაცვლოდ?!
ნეტავ, თავს რითი იმართლებთ ან რა პასუხი გიშველით?
რაც გვეცვა, სულ თქვენ წაიღეთ, დავგიტოვებთ თითქმის შიშველით!
თუმც თქვენი საყვედურის ცა ზოგ ვაუის პერზეც დაიქცა:
ჩერ მან გრძელი თმა წავართვით, მერე უაკეთიც ჩაიცვა!..
თუ კარგად არ დავაკვირდით, ვერც კი ვგებულობთ, ვინ არის:
ვათა თვალმებგოროზა, თუ ქალი, ღიმილმფინარი?
ზოგჯერ ძალიან დიდი ხნის მარჩიელობა გვიხდება:
ქალია?! კაცი?! — ვერ ვიგებთ, წინ ქაჩი გადაგვიხტება!
ბოლოსდა ვასკენით, თუმც ბევრჯერ რებუსი გაიშოტება —
ქალი თუ კაცი? — ვინ იყო? — ამოუცნობი გვშორდება!..
სხვაობა იყოს — აქ მას უნდა კი გამოსარჩლებო?
თუ ქალი ქალად დარჩება და კაცი კაცად დარჩება, —
ამას რაღა სჯობს, ამ საკითხს აღარ სჭირდება სხვა დავა!
დე, ევა დარჩეს ევადვე, ადამი დარჩეს ადამად!..

ბიორგნი შემთავაშური

ქალბო ეცადეთ, საქმროს ცოლის თვლებით შეხედოთ, ქმარს კი — საცოლის თვლებით!

ჯერ არუხვარებულო ქალბო! სჯობს ჯერ გაიცნოთ და მერე შეიყვაროთ, ვიდრე ჯერ შეიყვაროთ და მერე გაიცნოთ!

მავნიანო ცოლებო! თქვენ ნუ დაედევნებით ქმრებს, ეცადეთ, თვალყური ადევნოთ!

პურადღებანიო ქალბო! თუ გსურთ მამაკაცის ყურადღება მიიპყროთ, ნუ იქნებით ზედმეტად ყურადღებიანი მათ მიმართ!

ზარვლიანო ქალბო! ეცადეთ, საქმით თანაუგრძნოთ მამაკაცებს და არა — ჩაცმულობით!

პატივმოყვარე ქალიშვილებო! მხოლოდ საკუთარ თავს ნუ შესტრფით, თორემ მის აპარა დარჩებით!

მინი-დეაკოლტინანაბო! ეცადეთ, გულეში დაიპყროთ მამაკაცებისა და არა — მათი მზერა.

ანგარბისმოყვარე ქალბო! სიყვარულს ანგარებით ნუ მოეკიდებით და ანგარებას — სიყვარულით!


მომავლო საპატარძლოებო! ვაჟებს თვლებით შეხედეთ და ჭკუით შეაფასეთ!

მიამიტო ქალბო! ძალზე ნუ მოესიყვარულებით მამაკაცებს, ამით მათ უღვივებთ სიყვარულს... საკუთარი თავის მიმართ!

ჰირკაულო საპატარძლოებო! როცა ხელს გთხოვენ, ყური მაინც ათხოვეთ!

ა. გურული

ნახ. ი. ყინაზვილინა



უსიტყვოდ.

5 მარტს, დილით, ცოლმა ყუთით მოიტანა „გარჯა“, სმის დროს ქება შემპარა იმპორტული ავეჯის, ახლოვდება ქალთა დღეო — მითხრა ჩვეულ დიმილით. ვის რა უნდა ვუსახსოვრო, ჩამოვწერეთ იმ დილით.

„— იცი, ვიას აღმზრდელი რომ წიგნს საჩუქრად თავილობს? (ცოლს სიტყვებში მბრძანებლური ეტყობოდა თან კილო).“

„— გოგონებსაც ინსტიტუტში, ვაშობო ამას გუპანიოთ, დასჭირდებათ ძალზე ცოტა: თითოს — ხუთი თუმანი!

შარშან, ცალი გვირილა რომ სამ მანეთად დაგიჯდა, ახლა ექვსად ვერ იყიდი, დაგვაქცია ამინდმა!

სამსახურში არ წახვიდე, აიტყვე მუცელი, შვიდ მარტიდან გაიფორმე ავადმყოფის ფურცელი!

კარგ სამოებს ხომ უყიდი ჩემს საყვარელ მაშიდას, — ყოველ რვა მარტს რომ ამშვენებს ჩვენს გაწყობილ მაგიდას?

ლალს და ოქროს აღარა ვთხოვ, მაინც არ მაქვს იმედი, მონხრის შარფს ელოდება შენგან შენი სიდედრი!

დუბლიონკას მე მიყიდი, არ გავებრაზე; თუ გინდა, საპოყვებს კი დაგჯერდება ჩემი ცალი ტყუპის და!.. და გადაგჩა თუკი რამე, — უწილადე დედაშენს! დედის ფასი მაინც სხვაა — ეს იცოდე მუდამ შენ!“

...ვიცი, ამდენ ფულის შოვნას უნდა სხვა სიჩაუქე!.. სარვაპარტოდ ცოლს კვლავ მთვრალი ჩემი თავი ვაჩუქე!

ივანე ოსუაიშვილი

ღეძსიკონი

სიყვარულის სენი — გამაჯანსაღებელი საშუალება (განსაკუთრებით — გულცივი მამაკაცებისათვის).

ამორძალი — ამო რძალი (ახლანდელი გაგებით).

ბერბიჭა — ვინც უცოლოდ, უცალოდ, უცინრად და უცრემლოდ ამთავრებს ცხოვრებას.

ლაშაზი მამაკაცი — ვინც ქალთა ცხოვრებაში ერთდროულად ასრულებს მაგნიტის, ხაფანგის, სამოთხისა და განხეთქილების ვაშლის როლებს.

აგრესიული ქალი — ვინც მამაკაცში მეტოქეს ამჩნევს და არა მეგობარს.

ქათინაური — ქალის ყურადღების მიპყრობის, ზოგჯერ კი დაპყრობის საშუალება.

მეოცნებობა — რითაც ზეციურ კოშკებს აგებენ და საკუთარ მომავალს ანგრევენ.

ანწლი ცოლი — დაყოვნებული მოქმედების ნაღმი.

სარვაპარტო სუფრა — სადაც ქალები ცდილობენ წელიწადში ერთხელ მაინც აილონ რევანში მოქეიფე ქმრებზე.

სიმპათია — რასაც მამაკაცები სიმპათიური ქალების მიმართ ავლენენ ხოლმე.

კოცნა — ზოგჯერ სიყვარულის გამოხატვის, ზოგჯერ უსიყვარულობის შენიღბვის საშუალება.

თავდაჭერა — რითაც ქალები არა მარტო თავს იჭერენ, არამედ კანდიერ მამაკაცებსაც.

ჭირვეული საპატარძლო — პოტენციური შინაბერა.

დონორი — ზედსიძე, რომელსაც ავი ცოლი და სიდედრი ჰყავს.

სილამაზე — რითაც ქალები მამაკაცებს ჯერ ატყვევებენ, მერე ატყავევენ.

კმაყოფილება — მატერიალური უზრუნველყოფით გამოწვეული განცდა (ზოგი ბედნიერებასთან ათანაბრებს).

რესტორანი — სადაც ზოგი მამაკაცი დილით შედის, საღამოთი კი გამოდის, გამოჰყავთ ან გამოაქვთ.

სიმორცხვე — დაბრკოლება ქალ-ვაჟის ურთიერთობაში (ამჟამად აღმოფხვრის გზაზე).

ქორვაჭარი — ვინც ქალის გემოვნებას ალღოს უღებს, ოჯახს კი — ბოლოს.

იდეალური ქმარი — კაცი, რომელსაც საყვარლის გაჩენის იდეაც კი არა აქვს.

უხეში ქმარი — პოტენციური ქვრივი.

სატრფო — ზეციური არსება (ქორწინების შემდეგ მიწაზე ჩამოდის).

წრესგადასული სითამამე — რითაც ქალები სწრაფად უახლოვდებიან მამაკაცებს და სწრაფადვე შორდებიან.

მეორე სიყვარული — როცა სიყვარულის რომანტიკა მთავრდება და მათემატიკა იწყება.

„გაზ-24“ — ავტომანქანა, რომელიც ჯერ დაქორწინებას აჩქარებს, მერე — განქორწინებას.

„ცაში ღამის ჭადოქრებია“ — ასე ამბობდნენ ფაშისტები მამაც საბჭოთა მფრინავ ქალებზე დიდ სამამულო ომში.



— ესეც ჩვენი სარკვემართო საჩუქარია!



სატირიკო და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 5. (1687) მარტი, გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლჭავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგუულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეფან სინარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფწივაძე, ნაფი ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 7. 2. 85 წ. ხელმოწერილია დსაბექლად 6. 3. 85 წ. ქალაქის ზომა 60 X 90¹/₈ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 370. უე 06435 ტირაჟი 142.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან - მემენჯანის — 99-76-69.

სატირიკო - ჰუმორისტული ჟურნალი «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფანი 20 კვპიპი 0562631 76137

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

144
25/11
85